საქართველო

№14/15(41/42) ქართული ლეგიონის ყოველ-კვირეული გაზეთი 11 აპრილი, 1943წ

# ჩვენც თქვენთან ვართ მებრძოლო ძმებო!

## (წერილი ფრონტელ ლეგიონერებს)

**ქართველმა ლეგიონერებმა, რომლებიც გმირულად იბრძოდნენ აღმოსავლეთის ფრონტზე და რომელთა თავგანწირვის შესახებ არა ერთგზის ყოფილა აღნიშნული გერმანიის უმაღლესი სარდლობის ცნობებში, წერილით მიმართეს თავიანთ მებრძოლ ამხანაგებს — ახალ ლეგიონერებს. ამ წერილში ისინი გამოხატავდნენ იმ უკეთილშობილეს გრძნობებს და მამულიშვილურ აზრებს, რომლებითაცგამსჭვალულნი არიან დღეს ბოლშევიზმის წინააღმდეგ თავდადებით მებრძოლი ჩვენი ძმები. ფრონტელი ლეგიონერები, რომელთაც საკუთარი სისხლით გაამართლეს სამშობლოს ერთგულებაზე მიღებული წმინდა ფიცი, მოუწოდებენ ამხანაგებს იბრძოლონ სისხლის უკანასკნელ წვეთამდე დაჩაგრულ მამულის განთავისუფლებისათვის.**

**წერილი უდიდესი ალტაცებით იქნა წაკითხული და განხილული ქართულ ლეგიონში. იგი ხელიდან-ხელში გადადიოდა, აღგზნებდა ლეგიონერთ გულს, აღვიძებდა პატრიოტულ აღმავლობას. ფრონტზე მყოფი ძმების საბრძოლო მოწოდების საპასუხოდ ქართველმა ლეგიონერებმა მათ მიმართეს ვრცელი წერილით, რომელიც გამსჭვალულია სამშობლოსათვის ბრძოლის მგზნებარე სურვილით. ქვემოდ ვბეჭდავთ ლეგიონერთა წერილს.**

თქვენმა წერილმა და საბრძოლო მოწოდებამ დიდად გაგვახარა. ამ წერილის თვითეული სიტყვა ჩვენ წავიკითხეთ გულმხურვალედ, თქვენმა მებრძოლმა აღგზნებამ და სამშობლოს სიყვარულით გამთბარმა სტრიქონებმა დაიპყრეს ჩვენი გული. ჩვენ გვგონია, კვლავ დაიქუხეს თამარის დროს დიადი ეკლესიების და ტაძრების ზარებმა, კვლავ აელვარდნენ მზის სხივებზე მამა-პაპათა ხმლები. თქვენი სიტყვები ისე ტკბილად ჟღერდნენ, რომ მოგვაგონებდნენ ტკბილ მელოდიას, იავ-ნანას. ამ ტკბილ ჟღერაში ჩვენ ვიგონებდით ჩვენი ხალხის შვილებს, რომელთა გმირობა და სიყვარული თავისუფლებისადმი დღევანდლამდე სცოცხლობენ თვითეული ქართველის გულში.

ჩვენ მოკრძალებით ვხრით თავს ბრძოლაში დაღუპული ძმების-ლეგიონერების, ქართველი ხალხის საუკეთესო შვილების ხსოვნის წინაშე, რომლებმაც გმირობისა და რაინდობის შესანიშნავი ფურცლები ჩასწერეს ჩვენი ხალხის თავისუფლებისათვის ბრძოლის ისტორიაში.

ქართველმა ხალხმა თავისი ვაჟკაცური სიტყვით, გმირობით და თავდადებით კვლავ მოიპოვა საპატიო ადგილი მსოფლიოში. ჯერ კიდევ არგონავტების დროს, ლეგენდარულ ეპოქაში, რომლებიც ეწვიენ კოლხეთს, მტრებმა ვერ შესძლეს დაეჩრდილათ სახელი, დიდება და გრძნობა ქართველი ადამიანისა. ჩვენი წინაპრები კავკასიის მთის მწვერვალზე, რომელზედაც მიჯაჭვული იყო ამირანი. ყოველთვის იგერიებდა შემოსულ მტრებს: არაბებს, სპარსებს, თურქებს, მონღოლებს. არასოდეს არ გაქრება და მარადჟამს იხსივონსნებს სახელი 300 არაგველთა, რომელთაც გმირულად დასდეს თავი მამულისათვის. ეხლაც მოისმის ძახილი იმ გმირი ვაჟკაცებსა, რომლებიც იკრიბებოდნენ დავით აღმაშენებლის, თამარ მეფის, თორნიკე ერისთავის, გიორგი სააკაძის, ერეკლე მეორის, სოლომონ მეორის გარშემო. ეს დიდი ადამიანები მთელი შთაგონებით იბრძოდნენ თავიანთ მხედრებთან ერთად, რათა მშობლიურ ერს მოეპოვებინა თავისუფლება, მშვიდობიანობა, სიხარული.

შოთა რუსთაველის უკვდავი ქმნილების „ვეფხის ტყაოსანის“ გმირების ვაჟკაცობანი იყვნენ და არიან ქართველი მხედრებისათვის მაგალითი სამშობლოს განთავისულფებისეთვის ბრძოლაში. ჩვენ, ქართველებს შეგვიძლია თამამად ვიამაყოთ ჩვენი ხალხის საუკეთესო შვილებით, რომლებიც წარმოშვებოდნენ ხოლმე საუკუნეების მანძილზე.

მეოცე საუკუნეში შხამიან სამყაროდან ჩვენს ქვეყანას მოევლინა ბოროტი სული, კაცობრიობის საშინელი მტერი, ბოლშევიზმი. ჩვენი ძმები და მამები ლომებივით ებრძოდნენ ბოლშევიზმს, მაგრამ უთანასწორო ბრძოლაში დაეცნენ ისინი ბრძოლის ველზე. ბოლშევიზმი დაეპატრონა ჩვენს ბარაქიან მიწა-წყალს, სწოვს ჩვენს სისხლს სისხლისმსმელ ბოლშევიკებს სწყურიათ არა მარტო ქართველი ერის სისხლი, მათ თავიანთი შავბნელი, მტაცებლური მიზნების განსახორციელებლად მახვილი აღმართეს ევროპის ქვეყნების წინააღმდეგ. მაგრამ ევროპის ქვეყნებს შორის გამოვიდა ძლევამოსილი ერი, რომელიც ამყობს თავისი დიადი ისტორიით, ეროვნული ერთიანობით და გმირობით, მოუწოდა ევროპის ერებს საერთაშორისო მტრის—ბოლშევიზმის, ებრაულ-ინტერნაციონალიზმის წინააღმდეგ ბრძოლისაკენ. ეს ერი არის დიდი გერმანია, რომელიც მეთაურობს დღეს საკაცობრიო ბრძოლას ახალი საზოგადოებრივი წეს-რიგისათვის მსოფლიოში. თვით ღმერთმა ხალხს გამოუგზავნა მხსნელი უბედურებისაგან. ამ ადამიანმა უნდა იხსნას ხალხი. ეს ადამიანი არის ადოლფ ჰიტლერი.

ეს ადამიანი მთელი თავისი ენერგიით ცდილობდა აეშორებინა ომი, მაგრამ ბოლშევიკებს, ებრაელებს სურდათ ომი, რათა დაემყარებინათ თავიანთი ბატონობა მთელ მსოფლიოში. ჩვენ გვახსოვს ყველა ის ძალადობანი, რომელსაც მიმართავდა საბჭოთა კავშირი ამ ომის დაწყებამდე. ჩვენ გვახსოვს დევნა, კატორღა, გადასახლება, სილატაკე, სიბეჩავე, რომელიც ბოლშევიკებმა მიაყენეს ქართველ ხალხს. ჩვენ გვძულდა კოლმეურნეობა და შინსახკომის ჯოჯოხეთური ორგანოები მთელი გულით. ჩვენს ახალგაზრდობას ბოლშევიკები მიერეკებოდნენ ბრძოლის ველზე „საზარბაზნე ხორცად“. დაიცავით თქვენი წმინდათა-წმინდა სამშობლო სისხლის უკანასკნელ წვეთამდე—გვეუბნებოდნენ მატყუარა ბოლშევიკები, მათ უნდოდათ ჩვენი გამოყენება, მაგრამ ჩვენ ვიცოდით, რომელ სამშობლოზე და რომელ თავისუფლებაზე ლაპარაკობდნენ ისინი. მათ სურდათ დაგვექცია სისხლი იმ რეჟიმისათვის, რომელმაც წაგვართვა ყველაზე წმინდათა - წმინდა რაც გაგვაჩნდა: თავისუფლება, სამშობლო, სარწმუნოება, კულტურა, ჩვენ მამა-პაპათა მიერ საუკუნეებით განმტკიცებული ტრადიცია, ადათი, ზნე-ჩვეულება; გასთელეს ისინი ტლანქი ფეხებით. ჩვენ უნდა გვებრძოლა იმ ხელისუფლების დასაცავად, რომელიც ათასობით ხვრეტდა და შორეული ციმბირის ყინულოვან ველებზე აგზავნიდა ჩვენი ხალხის საუკეთესო შვილებს.

მაგრამ წავიდა დრო, რომელიც ჩვენ გვთიშავადა. ჩვენ გავიზარდენით, მოვმწიფდით. ჩვენ დღეს ბედნიერნი ვართ იმით, რომ ბედმა მოგვცა დიდი მოკავშირე ძლევამოსილი გერმანელი ხალხი. ბრწყინვალე იმედითა და გამარჯვების რწმენით ჩავებით ჩვენ ბრძოლაში. როგორც არაგვი და მტკვარი არიან შემტკიცებულნი, ისე გაუწოდეთ ჩვენც ხელი ერთმანეთს, გავერთიანდით ჩვენი ძველი, წმინდა ეროვნული დროშის გარშემო.

ჩვენ ქართველი ხალხის შვილებმა ერთმანეთს მივეცით ფიცი, ისე როგორც გიორგი სააკაძისა და პატარა კახის გმირები ეფიცებოდნენ ერთმანეთს სამშობლოსადმი ერთგულებაზე, ჩვენი ფიცი არის: **ვიბრძოლოთ მხარ და მხარ დიდ გერმანელ ხალხთან და მის ბელად ადოლფ ჰიტლერთან ერთად სისხლის უკანასკნელ წვეთამდე, რათა დავიცვათ ჩვენი ხალხის სასიცოცხლო ინტერესები. ჩვენ არ შევჩერდებით მნამ, ვიდრე არ მოუტანთ ჩვენს ხალხს თავისუფლებას.**

**მებრძოლო ძმებო! თქვენ დგეხართ დღეს ბრძოლის ველზე, როგორც ლომები და იბრძვით გერმანელ მოკავშირეებთან მხარ და მხარ, მრავალი თქვენთაგანი გმირულად დაეცა ბრძოლის ველზე. მთელი ჩვენი სიამაყის გრძნობა, სიამაყე ჩვენი ხალხისა მიმართულია თქვენსკენ.**

**თქვენს გმირობაზე და დაღვრილ სისხლზე მხურვალედ ილოცავენ ჩვენი დედები, დები და ცოლები, მათ უნდა იცოდნენ, რომ მათი შვილი, ძმა, ქმარი დაეცა ბრძოლის ველზე, მათთვის, ჩვენი თავისუფლებისათვის. მათ სახელებს საუკუნეების მანძილზე მოიგონებს ქართველი ხალხი. ისინი გამარჯვებულნი დაბრუნდებიან რა მშობელ მიწაზე, თვალცრემლიან ცოლებს თუ დედებს მოუყვებიან თავიანთ გმირობაზე, მათი ტკივილები გადაიქცევიან სიამაყის სიხარულად, მათ თვალებს შეაშრებათ ცრემლები, მაღლა აწეული ხელებით ისინი მადლობას გადაუხდიან ღმერთს, და სიამაყით მოიხსენიებენ თავიანთ გმირ და სახელოვან შვილებს, ძმებს, ქმრებს.**

**ბოლშევიზმის მონობის მძიმე უღლისაგან თავისუფალი ხალხი სიამაყის გრძნობით შეუდგება სამშობლოს ახლებურად აშენებას და მოწყობას!**

**ძმებო! ბედმა თქვენ ჩვენზე ადრე ამოგირჩიათ მებრძოლებათ თავისუფლებისათვის, ერის უფლებისათვის! ჩვენ გვინდა ვიყოთ ღირსეული მოკავშირენი გერმანელი ხალხისა! ჩვენ უკვე მომზადებულები ვართ და ველოდებით იმ საათს როცა ჩვენც მოგვიწოდებენ ბრძოლის ველზე თავისუფლებისათვის ბრძოლაში!**

**ძმებო! ფრონტელებო! იყავით გამარჯვებულნი!..**

**გაუმარჯოს ჩვენს წარმტაც სამშობლოს!..**

**გაუმარჯოს დიდ გერმანელ ხალხს!**

**გაუმარჯოს დაჩაგრული ერთა გამანთავისუფლებელს ადოლფ ჰიტლერს!..**



უმცროს მეთაურთა სკოლა მიდის ტაქტიკურ მეცადინეობაზე

# მდგომარეობა ფრონტებზე

გერმანიის უმაღლესი სარდლობის 29 მარტის ცნობებით აღმოსავლეთის ფრონტის სამხრეთისა და ცენტრალურ უბნებზე კვლავ გრძელდება ადგილობრივი ხასიათის ბრძოლა. ორიოლის ჩრდილოეთით გერმანიის არმიის ერთ-ერთ დივიზიის გრენადირებმა მტრის 8 ყუმბარმშენიდაან, რომლებმაც აწარმოეს საჰაერო თავდასხმა, ჩამოაგდეს 7 თვითმფრინავი.

ილმენის ტბის სამხრეთით და ლადოგის ტბის რაიონში ბოლშევიკებმა განაახლეს თავიანთი შეტევანი. შეტევები რომლებიც მთელი დღის განმავლობაში გრძელდებოდნენ უკუგდებული იქნენ მტრისათვის დიდი დანაკარგით როგორც ცოცხალი ძალის, ისე სამხედრო საჭურველის მხრივაც.

გუშინ ტუნისის ფრონტის მრავალ უბნებზე მტერი განაგრძობდა შეტევას. ყველა შეტევა მოგერიებული და განადგურებულია. სამხრეთ ტუნისში ძლიერი თავდაცვისა და სწრაფად განვითარებული კონტრ-შეტევის შედეგად უკუგდებული იქნა მტრის ცდა ალყის შემორტყმისა. გერმანიისა და იტალიის ჯარების შენაერთებმა გეგმაზომიერად დაიკავეს ფრონტის ახალი პოზიციები.

მტრის ავიაციის თავდასხმების დროს დასავლეთ ოლქებში სამოქალაქო მოსახლეობამ დიდი ზარალი განიცადა. ნორვეგიის სანაპიროებზე ჩამოგდებულია მტრის 18 თვითმფრინავი.

გერმანიის მძიმე ყუმბარმშენების საავიაციო შენაერთებმა წინა ღამით წარმატებით მიიტანეს იერიში ინდუსტრიულ ცენტრზე ნორვიჩზე, ჩამოჰყარეს დიდი რაოდენობის ცეცხლწამკიდებელი და ასაფეთქებელი ყუმბარები.



გერმანელთა მძიმე ქვემეხი აღმოსავლეთის ფრონტზე

## მეორე სუეცის არხი

მიუხედავად საომარი მდგომარეობისა იაპონია ღებულობს ზომებს ლესეპსას პროექტის განხორციელებისათვის, რომელიც ითვალისწინებს ნახევარკუნძულ მალაკაზე არხის გაყვანას. ეს პროექტი ეკუთვნის სუეცის არხის შემქმნელს, საფრანგეთის ექსპედიციას, რომელიც 1883 წელს გაემგზავრა ნახევარკუნძულ მალაკაზე, მაგრამ სიამში მყოფი ბრიტანეთის სამხედრო ატაშეს მიერ პროექტის განხორციელება გადაიდო.

ინგლისელები უკანასკნელ დრომდე ცდილობდნენ ჩაეშალათ ეს საქმე. 1897 წელს ინგლისმა დასდო ხელშეკრულება სიამთან, რომლის თანახმადაც არხის გათხრის ნება უნდა მისცემოდათ მხოლოდ ინგლისელებს.

განვლო დრომ. ტაი ჩაება აღმოსავლეთ აზიის ცხოვრებაში, იაპონიამ იგრძნო, რომ ლესეპსას პროექტის განხორციელების საქმე მომწიფდა. იაპონია დაინტერესებულია არხის გათხრით როგორც ეკონომიური, ისე სამხედრო თვალსაზრისით. მხოლოდ ამ არხის გაყვანის შემდეგ იქნება შექმნილი პირდაპირი საზღვაო გზა ინდოეთის ოკეანესა და სამხრეთ-ჩინეთის ზღვას შორის.

1936 წელში იაპონიის დელეგაცია „კონცერნა მიტსუი" ჩავიდა ბანგკოკში. დელეგაციამ, არხის გაყვანასთან დაკავშირებით, მოილაპარაკა ტაისთან კრედიტის შესახებ. იმ დროს ტაი ერთის მხრივ იყო დაკავშირებული ინგლისთან 1897 წლის ხელშეკრულების ძალით, რაც პროექტის განხორციელების საქმეს აფერხებდა. ამჟამად არხის გაყვანის საქმეს წინ არავითარი დაბრკოლება არ ელობება.

## იტალიის ავიაციის იუბილე

1943 წლის 28 მარტს იტალიაში იდღესასწაულეს იტალიის ავიაციის 20 წლის იუბილე.

20 წლის წინად, 1923 წლის 23 მარტს, იტალიის ავიაცია იყო გამოყოფილი ცალკეულ ერთეულად. იუბილესთან დაკავშირებით იტალიის პრესამ გამოაქვეყნა სამხედრო საჰაერო ძალების მიღწევების შედეგი ამ ომში.

1940 წლის 10 ივნისიდან 1943 წლის 23 თებერვლამდე იტალიის ავიაციამ გაანადგურა მტრის 2300 თვითმფრინავი და ჩასძირა მოწინააღმდეგის 65 გემი. ჩაძირულ გემთა რიცხვმა 1943 წლის 10 მარტს მიაღწია 138-მდე. ავიაციის მიერ ჩაძირულ გემთა საერთო წყალწყვა უდრის 1 001 330 ბრუტო-სარეგისტრო ტონას. ამას გარდა დაზიანებულია მტრის 211 გემი.

## თავდასხმა დარვინზე

იაპონიის არმიის მთავარსარდლობის ცნობით იაპონიის საზღვაო ავიაციამ მოახდინა თავდასხმა ნავთსადგურ დარვინის სამხედრო საჭურველის საწყობებზე. მოწინააღმდეგის 30 თვითმფრინავიდან, რომლებიც ცდილობდნენ ხელი შეეშალად ბომბარდირებისათვის, იაპონელების მიერ განადგურებულია 16. იაპონელთა მხრიდან ერთი თვითმფრინავი არ დაბრუნებულა თავის ბაზაში.

## ევროპის სადარაჯოზე

უკანასკნელი დღეების განმავლობაში აღმოსავლეთის ფრონტზე, როგორც ეს აღნიშნული იყო გერმანიის არმიის უმაღლესი სარდლობის ცნობებში, სწარმოებდა ადგილობრივი მნიშვნელობის საბრძოლო მოქმედება. ყუბანზე ბოლშევიკები კვლავ შეეცადენ იერიში მიეტანათ გერმანელთა პოზიციების წინა სიმაგრეებზე. მტრის შემოტევანი, რომლებიც განვითარებულნი იყვნენ სუსტი ძალებით ყველგან განადგურებული და უკუგდებული იქნა გერმანელთა მიერ. ტანკების რიცხვი, რომელსაც ბოლშევიკები იყენებენ ბრძოლაში ერთობ შემცირდა.

შედარებით უფრო მძაფრი იყო ბრძოლა კურსკის რაიონში, სადაც გერმანიის არმია განაგრძობდა თავის საიერიშო ოპერაციებს. ქუჩებზე ძლიერი ბრძოლის შემდეგ გერმანელებმა აიღეს ქალაქი სევსკი. გერმანიის ავიაციამ გამოიჩინა დიდი აქტიურობა. მან გამოიყენა მტრის დაქსაქსულობა და გზებზე, ბოლშევიკების ჯარის თავმოყრის ადგილებში, აგრეთვე ზურგში მრავალი ყუმბარა ჩამოჰყარა. მტერმა გამანადგურებელი ზარალი განიცადა.

ზამთრის კამპანიის შედეგად აღმოსავლეთის ფრონტზე შექმნილი მდგომარეობის შესახებ მეტად საინტერესო სტატიაა დაბეჭდილი გერმანიის ყოველკვირეულ გაზეთში „დას რაიხ"-ში. ლენინგრადიდან როსტოვამდე, — სწერს სტატიის ავტორი, — ძევს ამ ჟამად ზონა, რომელსაც შეიძლება ვუწოდოთ „სიკვდილის სივრცე". 1941 წლის შემოდგომიდან აქ განუწყვეტლივ მიმდინარეობს ბრძოლა, რომელიც სწყვეტს ევროპის ბედს. ეს „სიკვდილის სივრცე" ვრცელდება ქალაქებზე: ლენინგრადისტარაია რუსსი. რჟევი, ვიაზმა, კალუგა, ორიოლი, კურსკი, ვორონეჟი, ბელგოროდი, სლოვიანსკი, ვოროშილოვგრადი, როსტოვი, და წარმოადგენს აღმოსავლეთში ბრძოლის არენას. გერმანიის სარდლობის მაღალ ღირსებად უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ ბრძოლის სივრცენი მდებარეობენ შორს აღმოსავლეთში. ამგვარად არა მარტო ევროპა, არამედ დიდი ნაწილი აღმოსავლეთის განთავისუფლებული ოლქებისა რჩებიან ხელუხლებელნი ბრძოლისაგან.

„სიკვდილის ზონა" მეტად უსწორმასწოროა და იმყოფება მცირე ცვალებადობაში. ზოგიერთი ქალაქი ოთხჯერ-ხუთჯერ გადავიდა ხელიდან - ხელში. ამ სივრცის მოსახლეობის დიდი ნაწილი ნებაყოფლობით წამოვიდა დასავლეთისაკენ. ნავთის ბაზები ცარიელებულია, მაღაროები მიტოვებულნი, მინდვრები დაუმუშავებელია. „მკვდარი სივრცე" ზაფხულში წარმოადგენს უდაბნოს დაფარულს ქვიშით, გაზაფხულზე და შემოდგომაზე გაუვალია, ზამთარში კი თეთრი სიკვდილის სამეფო.

„ასეთ პირობებში, — განაგრძობს სტატიის ავტორი, — ასეული კილომეტრების აღება ან დაკარგვა სამხედრო თვალსაზრისით არ არიან დიდმნიშვნელოვანნი."

გერმანელი ჯარისკაცი დიდიხანია შეეჩვია გმირულ ბრძოლას „სიკვდილის სივრცეში." იგი სძლევს ყველა სიძნელეს, აღწევს წარმატებას.





გერმანიის საბრძოლო გემები შორეულს ზღვებში. **მარჯვნივ:** გერმანიის სამხედრო გემების ქარავანი ატლანტიის ოკეანეში, **მარცხნივ:** გერმანელთა წყალქვეშა ნავების გამანადგურებელი ლამანშის ახლოს.

## მოწინავე ოცეული

თებერვალში მოსამზადებელი ბანაკიდან ქართულ ლეგიონში მოვიდნენ ახალი მებრძოლები. ისინი ენტუზიაზმით შეუდგნენ სამხედრო საქმის შესწავლას. ოფიცრებისა და უმცროსი მეთაურების ბრძანებათა გულმოდგინე შესრულებითა და სამხედრო საქმის ათვისების სიყვარულით მათ მალე შეისწავლეს საბრძოლო იარაღები. განსაკუთრებით გამოირჩევიან ახალი ლეგიონერები რომლებიც მეცადინეობენ ტანკსაწინააღმდეგო ოცეულში, ოცეულს მეთაურობს ლეგ. დ—ლი. ამ რამდენიმე ხნის წინად ჩატარებულმა ტაქტიკურმა მეცადინეობამ გამოამჟღავნა ოცეულის ბრძოლის მაღალუნარიანობა. ლეგიონერებმა საუკეთესოდ შეასრულეს ამოცანა როგორც ღამის ისე დღის ტაქტიკური მეცადინეობისას.

ამ ოცეულში წარმატებით ჩატარდა ღაწყებითი სროლა. ლეგიონერებმა გვაჩვენეს სროლის საუკეთესო ნიმუში. ეს წარმატებანი მოპოებულია უმცროსი მეთაურების გულმოდგინებით. ისინი თავიანთ ძმებთან, ლეგიონერებთან არიან მ—ამ, ეხმარებიან მათ სამხედრო საქმის ათვისებაში. ათმეთაურთაგან კარგად მუშაობენ ლეგიონერები: ა-ძე, გ-ძე და ვ-ქე. ტანკსაწინააღმდეგო ოცეული მოწინავეა საშტაბო ასეულში, მოპოებული წარმატებები მან კიდევ უფრო უნდა გააძლიეროს.

ლეგ. ა. მ.

## ბავშვები ბრძოლის ველზე

უკანასკნელ ხანებში აღმოსავლეთის ფრონტის სხვა და სხვა უბნებზე ტყვედ ჩავარდნილ წითელარმიელთა უმრავლესობა შეადგენს 16 წლის ასაკის ახალგაზრდობას. მათ წითელარმიულ წიგნაკებში აღნიშნულია, რომ ისინი დაიბადნენ 1924 ან 1925 წლებში.

წიგნაკის გრაფაში დაბადების წელი 1927 წლის ნაცვლად, სწერენ უფრო ადრეულ თარიღებს.

15 და 16 წლის ასაკის ბავშვების წითელ არმიაში გაწვევის შესახებ ცნობები მოდის აგრეთვე რუსეთის სხვა და სხვა რაიონებიდანაც, რომლებიც ჯერ კიდევ ბოლშევიკების ხელში იმყოფებიან. კერძოდ კომკავშირელები, დაბადებულნი 1926 წელს, მორდოვის რესპუბლიკიდან, გაწვეულნი იყვნენ ჯარში 1942 წლის ზაფხულზე.

სისხლის მსმელი სტალინი ბავშვებს მოერეკება ბრძოლის ველზე.



ტაქტიკურ მეცადინეობაზე ქართულ ლეგიონში

# დავეუფლოთ სამხედრო საქმეს

## მსროლელი ოცეული შეტევით ბრძოლაში




მსროლელმა ოცეულმა მიიღო ამოცანა: შეუტიოს სიმაღლე 27,8, სიმაღლე ცალკე ხით და იერიში მიიტანოს სოფელ პოლიანაზე.

განსაზღვრის ხაზი: მარცხნიდან ხიდი—შარა გზაზე ჩათვლით, ქარის წისქვილი—არ ჩათვლით. მარჯვნიდან: სიმაღლე 27,8, სოფელი პოლიანა—ორივე ჩათვლით. მარცხნიდან მოქმედებს პირველი ოცეული, მარჯვნიდან—მესამე ოცეული.

მსროლელი ოცეული მოძრაობდა სალაშქრო რაზმეულად და მიუახლოვდა რა ცალკე სახლს ტყის პირზე, ოცეულის მეთაურმა მიიღო შემდეგი დასმენა: სიმაღლეებზე ცალკე ხით და ტრიგონომეტრიული პუნქტით, ჩასაფრებულია მტრის საბრძოლო დაცვა დაახლოვებით 2 ათეულამდე.

ოცეულის მეთაურმა გაითვალისწინა მდინარის ფეხ და ფეხ გადალახვის შესაძლებლობა, შეაფასა ადგილმდებარეობის რელიეფი და გასცა ბრძანება შეტევისათვის. დრო-20 საათია.

როგორ წაიყვანს ოცეულის მეთაური თავის ათეულებს შეტევაზე და რა წესით?

## შეამოწმე შენი სამხედრო ცოდნა

1. უმცირესი კორა არის ჯარის დაყოფის რაოდენობა, მიღებული დაზგის ტყვიამფრქვევის, ან ქვემეხის ლულის ჰორიზონტალური მდგომარეობიდან აწევით იმდენ დანაყოფზე, სანამ ლულის მიმართულება არ გადასცდება წინ მდებარე რელიეფს ან რომელიმე სხვა საგანს.

2. ტყვიის დაწყებითი სიჩქარე არის ტყვიის მიერ პირველ წამში განვლილი მანძილი, რომელიც უდრის 840 მეტრს.

3. გასროლილი ტყვიის მიერ განვლილი მანძილი სიცხეში მეტია, ვიდრე სიცივეში, რადგან სითბოს დროს ჰაერი უფრო თხელია და მისი წინააღმდეგობის დაძლევა ტყვიას უადვილდება, ინარჩუნებს მეტ ინერციას.

4. თოფის ნიშანი თუ გადაიწია მარჯვნივ, მოხვედრა იქნება მარცხნივ.

5. „დერივაცია“ არის ტყვიის სრბოლვის დროს მიმართულების შეცვლა ლულის ღარების გამო ტყვია ღებულობს ციბრუტიულ მოძრაობას მარჯვნიდან მარცხნივ და ჰაერში სრბოლვის დროს იგი გადაიხრება მარჯვნივ.

6. ხელის ტყვიამფრქვევის საკეტის ლაყუჩები მიემტკიცება შემდეგნაირად: ჩარჩოს უკანა ნაწილში არის ამონახვრელი, რომელშიაც მოთავსებულია ლაყუჩების ბორცვები. ამონახვრელის ფორმა მსხლისებურია. როცა ჩარჩო გაზების საშუალებით წაიწევს უკან, მსხლისებური ამონახვრელის ვიწრო ნაწილი მიებჯინება რა ლაყუჩების ბორცვებს, მიამტკიცებს საკეტის ჩონჩხს. უკანასკნელს მიეცემა საშუალება დაიწიოს უკანა მდგომარეობაში.



გერმანელი ოფიცერი ასწავლის ქართველ ლეგიონერს ტყვიამფრქვევიდან სროლას.

## სტრიქონები - გულიდან

დაჩაგრული მამულის განთავისუფლებისათვის ბრძოლის ველზე თავგანწირვით იბრძვიან ჩვენი ძმები ლეგიონერები. რედაქციას მრავლად მოსდის წერილები ფრონტიდან, რომლებშიაც გადმოცემულია ის უკეთილშობილესი მამულიშვილური გრძნობანი, რომლითაც აღგზნებულია დღეს ჩვენი ხალხის მომავლის—მებრძოლი ქართველი ახალგაზრდობის გული. წერილების თვითეული სტრიქონი, თვითეული სიტყვა გამთბარია სამშობლოსადმი უანგარო სიყვარულის გრძნობით. ისინი გამოხატავენ ქართული ახალგაზრდობის მღელვარე სურვილებს, ფანატიკურ რაინდობას, თავდადებითა და გრძნობით გაცისკროვნებულ აზრებს... ქვემოდ ვათავსებთ ერთ-ერთი ქართველი ლეგიონერის წერილს, რომელიც გმირულად იბრძოდა სტალინგრადთან გერმანიის ლეგენდარული მე-6 არმიის რიგებში.

**„გისურვებთ ჯანმრთელობასა და დღეგრძელ სიცოცხლეს. მოგიკითხავთ დიდის სიყვარულით. მე ამჟამად დაჭრილი ვარ. ჭრილობა მივიღე ქ. სტალინგრადთან ბრძოლაში 1942 წლის 10 ოქტომბერს. ვირიცხებოდი გერმანიის მე-6 არმიაში. მთელი თვეების მანძილზე აქ უმძაფრესი ბრძოლა მიდიოდა. მტერმა ალყა შემოგვარტყა. თვითმფრინავის საშუალებით გერმანელ ჯარისკაცებთან ერთად დავაღწიე თავი მტრის ალყას. ვიყავით 5 ქართველი, რომელთაგან 4 გმირულად დაიღუპა. მე, მართალია, გადავრჩი ცოცხალი, მაგრამ დავკარგე ფეხი. მიუხედავად ამისა, თავს ბედნიერად ვთვლი, რადგან ბოლშევიზმის ბატონობისაგან მამულის განთავისუფლების საქმეს შევსწირე ჩემი სისხლი...**

**ძალიან მენატრება ჩვენი გაზეთის წაკითხვა! საავადმყოფოში სულ თვალწინ მიდგას ჩემი ოჯახი, მამული, ჩვენი ზურმუხტოვანი მიწა-წყალი, და მინდა ვიქვითინო...**

**„ჩემი ვარდები ჩამოჭკნა ბაღში,<br>შეწყდა უსაზღვრო სურვილთა დენა,<br>და გულს მწუხარეს, ნისლივით გაშლილს,<br>აღარ უნდება ჩიტივით ფრენა...<br>ძველი მშვენება სრულიად დასჭკნა,<br>ის ძველებურიც ჩამოქრა ალი,<br>მაგრამ მე მაინც ნაღველად დამრჩა<br>ჩემი სამშობლო და სატრფოს თვალი“...**

**ჩემთვის, ქართველი კაცისათვის, ძნელია უკანასკნელად არ დავხუჩო თვალი და არ დავიმარხო იქ,**

**„სადაც ვშობილვარ, გავზრდილვარ<br>და მისროლია ისარი,<br>სად მამა-პაპა მეგულვის,<br>იმათი კუბოს ფიცარი!..“**

**ბედს უნდა დაემორჩილო კაცი, ებრძოლო, რომ იგი უკეთესი გახადო. კიდევ ჩვენი დიდი შოთას ანდერძი უნდა გავიხსენოთ: „ჭირსა შინა გამაგრება ისე უნდა ვით ქვითკირსა“... გთხოვთ სასწრაფოდ გამომიგზავნოთ ქართული გაზეთები, როგორც გავმორჩმთელდები, გინახულებთ. ნახვამდის! იყავით კარგად! გისურვებთ წარმატებას მამულის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში! მებრძოლი ქართველური სალამით.**

**თქვენი ძმა ს. ნ—ძე.**

დოებერიცის ჰოსპიტალი, 26.3.43



გერმანელთა მსუბუქი არტილერია იცვლის პოზიციას.

## ტანჯვისა და ცრემლის ქვეყანა

პატარა ტომარაში ფრონტის გზაზე, რომლითაც უკან იხევენ ბოლშევიკები, ეგდო წერილი. წერილში თვითეული წინადადება დაწერილი იყო სისხლით; თვითეული სტრიქონი დასველებული იყო იმათი ცოლების, დედების და დების ცრემლებით, რომლებიც იბრძვიან ფრონტის მეორე მხრიდან—წითელი არმიის მეთაურებისა და მებრძოლებისა.

ღრმა მწუხარებით სწერს თავის ცხოვრებაზე ა. კ. გრინევის ქალი თავის შვილს, წითელი არმიის ლეიტენანტს:

ბინის საქმე ცუდადაა. შეშა და ნახშირი არ არის; როდის მოგვცემენ, არ ვიცი. მთლად ვიყინები, რემონტი მაინც გაეკეთებინათ! სად წავხვალ! ვის მიმართავ! არავის. მე მოხუცებული ვარ, არ ვარ საჭირო. შენს ჩამოსვლამდე ვიცოცხლებ თუ არა, არ ვიცი, ჩემო საყვარელო შვილო!..

უალრესი მდგომარეობაა ბოლშევიკების მიერ ევაკუირებულ სამხედრო მოსამსახურეების ოჯახებში. პ. ა. ხაჩენკო თავის ძმას, გვარდიის ლეიტენანტს პავლე ლაზონენკოს შემდეგს სწერს:

„ამას წინად კიდევ გადაგვიყვანეს ჩვენ ზურგში, სტალინგრადის ოლქის ნიკოლაევის რაიონში. ვცხოვრობთ მინდორში, სადაც მხოლოდ აქლემები და ყირგიზები არიან. ბინა მიწურში გვაქვს, ბოსტნეული და ხორცი არ არის. არ ვიცი როგორ იქნება ცხოვრება შემდეგში, ბაზარზე ყველაფერი ძვირია...“

ჩქარა გათავდეს ომი—ეს არის ერთად-ერთი სურვილი ხალხისა. ისინი დიდი იმედით უყურებენ მომავალსა და უცდიან ამ ბედნიერ დღეს.

მ. ს. ლისინი თავის შვილს ასე სწერს:

„... საყვარელო შვილო, უშენოდ ძლიერ მოწყენილი ვარ. ერთხელ მაინც მენახე. როდის გათავდება ეს ომი?“

თვითეული წითელარმიელის დედა საბჭოთა ჯოჯოხეთის მოქალაქე ომის სწრაფად დამთავრებაზე ფიქრობს. მათ არ სურთ სისხლის ღვრა სხვისი ოცნებისათვის.

ასეთია მდგომარეობა საბჭოთა ზურგში. დაექვემდებარა რა მთელი მრეწველობა, მთელი ქვეყნის ეკონომიკა სამხედრო საჭიროებას, ბოლშევიკები ნაკლებად ფიქრობენ ხალხზე, მის ცხოვრებაზე. როგორ ცხოვრობს ხალხი? რით საზრდოობს ის? როგორია მცხოვრებლებზე მზრუნველობა? ეს ბოლშევიკებს არ აინტერესებთ. მათი დევიზი ერთია—ყველა ამის ყურადღების მიუქცევლად გააგრძელონ ომი, გააგრძელონ თავისი დაღუპვის დრო.

## სტალინური რეზერვები

განთავისუფლებული ოლქების უკანასკნელი რიცხვების გაზეთებიდან იტყობინებიან ე. წ. სტალინური რეზერვების შესახებ.

ორლოვის გაზეთი „რეჩ“ აცხადებს ტყვე წითელ არმიელების დაკითხვის ოქმს. ისინი ტყვედ არიან წამოყვანილნი უკანასკნელი ბრძოლებისას. ერთი მათგანი, არხიპ ანდრიას ძე კალეკინი, გლეხი სოფელ პირველ პოდგოროდნაიადან (მალო-არხანგელსკის რაიონი), 33 წლისა გადმოგვცემს შემდეგს:

ჩვენს სოფელში ბოლშევიკები შემოვიდნენ 23 თებერვალს, 24 თებერვალს კი ჩვენ ყველა მამაკაცები დაგვაწყვეს და ყარაულის ქვეშ გაგვაგზავნეს შესაკრებ პუნქტზე. ჩვენს შორის იყვნენ დასახიჩრებულნი, ინვალიდები და 15 წლის მოზარდები. ჩვენ ყველამ გავიარეთ საექიმო შემოწმება. სამხედრო სამსახურისაგან არ გაანთავისუფლეს სემიონა ტროფიმევიჩიც კი, რომელიც უკანასკნელი 7 წლის განმავლობაში ავადმყოფობდა ე, წ, ქლექით და გარედაც კი არ გამოსულა ამ ხნის განმავლობაში. კომისია გაიარა აგრეთვე სოფლის სულელმა, მიშკა გოროხოვმაც,

25 თებერვალს ჩვენ წაგვიყვანეს წინა ხაზზე, 26-ს საღამოს გვიბრძნეს წინსვლა, მთელი ღამე ვიწევით ღია ადგილზე ტყვია მფრქვევის ძლიერი ცეცხლის ქვეშ. ასეული 140 კაცისაგან შესდგებოდა. 27 თებერვალს დღის 2 საათისათვის ჩვენს შორის ცოცხალი იყო ძლიერ ცოტა. ჩვენს მეხუთე ასეულში თოფებს გარდა გვქონდა 2 ხელის ტყვიამფრქვევი, მაგრამ მათ შეეძლოთ მხოლოდ ერთეული გასროლა.

დღის 2 საათზე ჩვენთან, თითქმის ნახევრად მოყინულებთან, მოვიდნენ გერმანელი ჯარისკაცები და გვიბრძანეს წავსულიყავით მათთან. ჩვენს შორის 140 კაციდან ცოცხალი გადარჩა მხოლოდ 17. ჩვენი სოფლის 28 კაციდან ცოცხალი დავრჩით 3 კაცი. ტყვედ ჩავარდნის შემდეგ გავიგეთ, რომ დასახლებულ პუნქტზე, რომელსაც ჩვენ ვუტევდით, იცავდა მხოლოდ 14 გერმანელი ჯარისკაცი, მაგრამ მათ ჰქონდათ დაზგის 4 ტყვიამფრქვევი და ნაღმტყორცნები. წაგვიყვანეს პირდაპირ სოფლისაკენ. მე თვითონ სოფლის წინ დავინახე 400 გვამამდე წითელი არმიელებისა, რომლებიც ჩვენზედ წინ 2 დღით ადრე წინ მიდიოდნენ ამ სოფელზე.

**აჩვენა კალეკინმა**

მეორე ჩვენება: მე, იაკობ ეგნატის ძე კაშალიოვი, მცხოვრები სოფელ მოხოვოს (ზნამენსკის ოლქი), 49 წლისა შემიძლია გაჩვენოთ შემდეგ: 1 თებერვალს ჩვენს სოფელში მოვიდა ნაწილი წითელ არმილებისა. პირველ რიგში წაიყვანეს ყველა ცხენები 25 სულის რაოდენობით, გამოაცხადეს კოლმეურნეობის აღდგენა, გამოგვიცხადეს შეგვეგროვებია ყველა ურმები და ცხენის მორთულობა. როდესაც ჩვენ განვაცხადეთ, რომ როგორ შეიძლება კოლმეურნეობა უცხენოდ, ჩვენ გვითხრეს, ბარებით უნდა თხაროთ მიწა და თუ არა, თვითონ შეებმებით გუთანებშიო. შემდეგ დაიწყო სიარული ნადავლის შემგროვებელმა ჯგუფმა, რომელმაც წაიღო ყველაფერი, რაც ხელში მოხვდა. აგროვებდნენ: ასანთს, მარილს, ფქვილს, საპონს, კართოფილს, ფეხსაცმელებს, სამხედრო და სამოქალაქო ფორმისას და ყველა ეს გამოცხადებულიიქნა როგორც ნადავლი.

დილით ჩვენს სანგრებს მოადგნენ გერმანელი ჯარისკაცები და მოგვმართეს ჩავბარებულიყავით ტყვედ. როდესაც ჩვენ ავდექით და წავედით გერმანელთა სანგრებისაკენ, ჩვენებმა ცეცხლი გაგვიხსნეს ნაღმტყორცნიდან. ამ დროს ჩვენ მოგვიკლეს 6 კაცი და დაჭრეს 6. დაჭრილები გერმანელმა ჯარისკაცებმა შეაგროვეს, ჭრილობანი შეუხვიეს და ზურგში გაგზავნეს.

**აჩვენა ი. კაშალიოვმა.**



ფრონტისაკენ

## საბჭოთა ოჯახი და სკოლა *)

საბჭოთა საქართველოში ყველაზე მეტად აბუჩად აგდებული, ყოველგვარ უფლებას მოკლებული არის მასწავლებელი. მას არ აქვს ავტორიტეტი არც სკოლაში მოსწავლეთა შორის და არც მოსახლეობის თვალში. ხშირად მასწავლებლებად ინიშნებიან ისეთი პირები, რომლებსაც არ გააჩნიათ ამისათვის სათანადო მომზადება და რაც მთავარია მოწოდება.

მოსწავლეთა თვალში როგორ ექნებოდა ავტორიტეტი განათლების მუშაკს, როცა კომკავშირელი მასწავლებელი უმაღლესი განათლების მქონე, მოწაფეებთან ერთად ირიცხებოდა კომკავშირის ორგანიზაციის წევრად. აქ ხდებოდა მისი „დამუშავება“ რაიკომის რომელიმე უნიჭო ინსტრუქტორის მიერ, ანდა როგორ შეიძლება ილაპარაკო კაცმა მასწავლებლის ავტორიტეტზე მოსწავლეთა თვალში, როცა რესპუბლიკის მასწავლებელთა მეთოდურ კონფერენციაზე ანგარიშით გამოდიოდა განათლების კომისარი და საჯაროდ „ამუშავებდა“ სკოლის მუშაკს. კონფერენციის მასალები კი იბეჭდებოდნენ გაზეთის ფურცლებზე. განათლების კომისარმა ერთხელ ავტორიტეტულად განაცხადა: **„თუ მოსწავლე ჩამორჩენილია სწავლაში, მთავარი დანაშაული აქ მიუძღვის მხოლოდ და მხოლოდ მასწავლებელს“.**

მეორე მიზეზი უნდა ვეძიოთ იმაში, რომ მასწავლებლობა ხელისუფლების მიერ უმთავრესად გამოყენებულია სესხის გავრცელების, გადასახადების აკრეფის, ფულადი სახსრების მობილიზაციის საქმეში; მოსახლეობა მასწავლებელში ხედავს არა აღმზრდელს არამედ სახელმწიფო ორგანოების „აპარატჩიკს“ ან „ხბორჩიკს“.

ამ გვარად მასწავლებელი, რომლის უმთავრესი მოწოდებაა—ახალი თაობის აღზრდა, რომელსაც ოჯახი, საზოგადოება ანდობენ თავის უძვირფასეს საუნჯეს მომავალის იმედს. შვილების აღზრდას, საბჭოთა საქართველოში ყველაზე უფლიბა მოკლებულია.

სკოლასა და ოჯახს შორის არ არსებობს მტკიცე კავშირი, ჰარმონია და სწორედ ეს არის მიზეზი იმისა, რომ სწავლა—განათლების საქმე არ დგას ჩვენში სათანადო დონეზე, მოწოდების სიმაღლეზე. მშობლების როლი იმით ამოიწურება, რომ მან თავისი შვილი მიაბარა სკოლას, ამის შემდეგ მშობელი იშვიათ შემთხვევაში მიდის სკოლაში. ბოლშევიზმისა და საბჭოთა რუსეთისაგან განთავისუფლებულ ახალ საქართველოში სწავლა-განათლების საქმე ძირფესვიანად უნდა გარდაქმნას. ამისათვის საჭიროა **განიდევნოს სკოლიდან საბჭოთა პედაგოგიკა, რომელიც აგებულია ცალმხრივ მარქსისტულ დოქტრინაზე, რომელიც აგებულია ცრუ მარქსისტული აღზრდის პრინციპებზე,** რომელიც გაჟღენთილია კლასობრივი სიძულვილით, რაც რყვნის ახალგაზრდა თაობას და ხელს უშლის მის ნორმალურ აღზრდას.

**უნდა აღსდგეს პედაგოგიკა, როგორც მეცნიერება, რომელიც უნდა შეიცავდეს ბავშვთა შეგნებულად და მეცნიერულად სწავლა-აღზრდის წესებსა და კანონებს.** აღზრდის დანიშნულება უნდა იყოს ბავშვის ბუნებრივი აღზრდა იმ დრომდის, სანამ იგი გაიზრდებოდეს და გახდებოდეს გონივრივად მომზადებული. აღზრდის იდეალი უნდა გახდეს—აღზრდა გონებრივი, ზნეობრივი და ფიზიკური. განახლებულ სკოლიდან უნდა მივიღოთ ყოველმხრივ გონებრივად ზრდილი და ფიზიკურად ჯანსაღი ადამიანი. **სწავლა - განათლებას საფუძვლად უნდა დაედოს არა კლასობრივი ბრძოლის ცრუ მარქსისტული პრინციპი, არამედ ზეკლასიური პრინციპი, ნამდვილი მამულიშვილის აღზრდა.**

უნდა აღდგენილ იქნას მოქალაქოებრივ უფლებებში ქართველი პედაგოგი, როგორც **„სკოლის სული და სწავლის ცენტრალური ფიგურა“.**

მასწავლებლობის მომზადების საქმეს საფუძვლად უნდა დაედოს ის პრინციპი, რომ მასწავლებლად შეიძლება იყოს მხოლოდ ის, **ვისაც ესმის მისი ზნეობრივი მოვალეობა და მოწოდება, იყოს ერის მომავალის—მისი ახალი თაობის—მომავალ მამულიშვილთა აღმზრდელი.**

ძირფესვიანად და გაბედულად უნდა შევცვალოდ არსებული სისტემა სწავლა-განათლებისა **და შემოვიღოთ ეროვნული სისტემა, დაყრდნობილი ჩვენს ეროვნულ შეგნებაზე, და მივცეთ ახალ თაობას ნამდვილი და სრული ცოდნა.**

ქართული ენის სწავლება სათანადო დონეზე უნდა ავიყვანოთ, ამისათვის საჭიროა გადაკეთდეს მთლიანად ქართული ენისა და ლიტერატურის საგნის სწავლება. **არსებული საშუალო სკოლები უნდა გადაკეთდეს საშუალო ქართულ გიმნაზიებად, ცალკე ვაჟთათვის და ცალკე ქალთათვის, როგორც ერთად ერთი გზა უმაღლეს განათლების მისაღებად.**

განახლებული ქართველი ერი ახალ საქართველოს **ნორჩი თაობის აღზრდას პრინციპად დაუდებს ევროპის განათლებული პედაგოგ - მეცნიერებისა და ქართველი ერის დიდი პედაგოგის იაკობ გოგებაშვილის და უდიდესი პედაგოგიური მოაზროვნის ილია ჭავჭავაძის აღზრდის პრინციპებს,** რითაც საფუძველი ჩაეყრება ჩვენი ერის გასპეტაკების საქმეს, ნორჩი თაობის მამულიშვილურ აღზრდას.

**ლევ. ი. კოლხელი**

*) დასასრული. იხ. გაზ. „საქართველოს“ № 13(40)

# ლიტერატურული ფურცელი

დ. მთიული

## თ ე რ გ ი

ბორგავს, შხეფს იყრის, ქაფდება
კლდეებზე დაჯახებული.
თავს დასცქერს ბერი მყინვარი,
გულ-დინჯი, დაფიქრებული.
მოჰქუხს და მოსთქვამს რაღაცას
გულ-ფიცხი, გაჯავრებული.
ღელავს, ასკდება ნაპირებს
ვით ვეფხვი გამძაფრებული.
კლდიდან დასცქერის ამაყად,
ჯიხვი ყელ-მოღერებული.
ბევრჯელ უნახავს მძვინვარე
ტალღებად აგორებული.
მუდამ ასეა, მშფოთვარე...
არასდროს დაღონებული
განა დაშრება როდისმე,
ილიასაგან ქებული?
მორბის, მოიმღერს მარად ჟამს
ღელვისგან აქაფებული,
თენდება... გულ-მკერდს იქარგავს
სამშობლო გამარჯვებული.

## მწყემსის სიმღერა

ჩონგურს სიმები აუწყე
დავძახე ახლებურია...
კარგი დაგვიდგა დროება
ტკბილი და საამურია.
ბევრი ვიტანჯე ბნელეთში,
გზა მქონდა გახლართულია.
ვატარე მძიმე უღელი,
კისერზე მაჯდა ურია,
ბოლშევიკურმა მონობამ
გამხადა ბედით კრულია.
ვნატრობდი, როდის დადგება
იმათი აღსასრულია.
გათენდა!.. შვებას მოვესწარ,
ისევ შეხორცდა წყლულია
და სხვანაირად აკვნესდა
დღეს ჩემი სალამურია.
მთაში ვარ, ცხვარსა ვაძოვებ,
სიოც ჰქრის საამურია.
აქამდის ბედის მაწყევარს
ეხლა სიცოცხლე მწყურია!..



ნარიყალა

ლეგ. ვ. ურდოელი

## მთის ქალის სიყვარული

ბიჭავ, მომხედე ღვთის მადლსა,
შენი მიჯნური მიცანი
თვალი მიგიგავს ვარსკვლავსა,
შენზე ამომდის ცისკარი!..
როცა ვერ გხედავ,—დაგეძებ
თვალი გზას ეძებს ხსნისასა,
ბილიკებს ცრემლით მივრეცხავ,
წვიმას მიმიგავს ცისასა...
ბიჭი ბევრია ჩვენს მთაში
ვაჟკაცი, გულრკინეული
თმა-ქოჩორ, ულვაშ-კოკორი,
თვალმარჯვე ცეცხლი რეული
მაგრამ მზე შენზე ამომდის,
მსურს შენ დამწყვიტო ლილები
შენს ცეცხლის თვალებს,
ფართე მკერდს შორიდან ველიმილები!..
რა იყო, რად მებუტები?!—
ვარდი ვარ ხელუხლებელი,
ჯავრი არა მაქვს სრულებით
თუ შენ ჩემი ხარ მხლებელი,
მაისის ვაშლის ხეს ვგევარ
ჯერაც მეზრდება კვირტები,
ვაჟური ეშხის მონა ვარ,
მტანჯავენ შენზე ფიქრები...
გულს დავირეცხავ სიამით,
თვალებზე სხივებს დაგიფენ,
ოღონდ რასაც გთხოვ ჭაბუკი
შემომბედე და დამითმე!..
თანაც იცოდე, რომ შენი
გული არ უნდა სცრუობდეს,
თორემ მახვილს გზას დავუთმობ,
ცამ მრისხოს თუ კი ვტყუოდე!..
იცოდე, მხოლოდ ერთი რამ
მაზიდვინებს მე ეგოდენს,
მაღალი სიყვარულის ქვეშ
მხოლოდ მსურს დაგიმეგობრდე!..

ლეგ. ნ. ხ.

## გველირსა მზე ამობრწყინდა

წარსულის გაგონებაზე
მწარედ ქვითინებს გულია,
მესმოდა მშობლის გოდება:
წაბილწეს ჩვენი სჯულია!..

დაგვინგრიეს ეკლესია,
ჩვენი რწმენა და ლხინია,
სიტყვისა ნებაც წაგვართვეს,
ძალით აგვიკრეს პირია!..

წითელსა ჯარში ვიყავი,
შფოთავდა ჩემი სულია,
ქალლივით ვეგდე, მსტანჯავდნენ,
მქონდა ცხოვრება კრულია!..

წერილი რომ მოდიოდა,
ის მატირებდა მწარედა,
წაგვართვეს ულლად ხარები,
ველარსად გადავმალეთა!..

ჩვენი ხვავით და ბარაქით
სხვა ილხენდა და ძღებოდა,
მშრომელი გლეხის ოჯახი,
ულუკმაპუროდ კვდებოდა!..

გველირსა, მზე ამობრწყინდა,
გაჰფანტავს ჯანღსა, ნაღველსა,
დავამსხვრევთ მონობის ბორკილს,
ცხოვრებას გესლით ნაღებსა!..

ამოისუნთქავს მამული
თავისუფალი, ლაღია,
და აყვავდება მიდამო
როგორც წალკოტი, ბაღია!..

კვლავ აივსება დოვლათით
ჩვენი ქოხი და ნალია,
ერთად ვიშრომებთ, ოფლს დავღვრით
მოხუცი, კაცი, ქალია!..

შენს დასახსნელად მოვდივართ,
მამულო, შვილნი შენია,
მჩაგვრელს ვაგემოთ მახვილი
და ჩაუმწაროთ დღენია!..

## დავიწყებული და გამოჩენილნი

მ ა მ ი ა  გ უ რ ი ე ლ ი*

დიდი მთავრის მიხეილ ნიკოლოზისძის კავკასიის მთავარ მართებლად დანიშვნის შემდეგ სასახლეში სისტემატურად იმართებოდა ნადიმები. ამ ნადიმებზე დადიოდა მამია გურიელიც: შავ ჩოხით, წელზე ქართული ქამრითა და სატევრით. ექსელბანტებიანთა და ჩინმედლებიანთა შორის იგი გამოირჩეოდა თავისებური სილამაზით. მამიას სიყვარული ბევრ ქალს ჩაუვარდა გულში. ერთი ქალთაგანი, რომლის გულშიაც მამიამ სიყვარულის შთამაგონებელი ცეცხლი გააღვივა, იყო თავად ყორხმაზ მელიქოვის ასული მარიამი. ი. მეუნარგიას გადმოცემით თავადის ქალი ყოფილა მშვენიერი მოთამაშე, ზრდილობით ალსავსე, კარგი მომღერალი, ფორტეპიანოს იშვიათი დამკვრელი. ერთი სიტყვით მარიამს მრავალი თავადი შესტრფოდა.

1868 წელს მამია ჯვარს იწერს თავადის ქალზე. თითქოს ასრულდა მათი ოცნება და უნდა მისცემოდნენ საუკუნო სიყვარულს, მაგრამ როცა ჯვარისწერის ღამეს მათ თავზე გვირგვინი დაიდგეს იმავე დღიდან გამომჟღავნდა, რომ ისინი არ იყვნენ შესაფერნი. ორი წლის შემდეგ უსიამოვნების ნიადაგზე მამია განშორდა მეუღლეს. ამას ისიც დაერთო, რომ დაეკარგა ერთად-ერთი საყვარელი შვილიც. სიყვარულისაგან დამარცხებული მამია თავს დაობლებულად გრძნობს, მის გულში ჩაგუბდა კაეშანი. ამ ქვეყნისაგან გულმოშხამული, ცხოვრებისაგან დატანჯული პოეტი ცდილობს სიმწარე ღვინოში ჩაჰკლას. მისი ტრფიალი არის ღვინო „ერთ მოყვარე გაჭირვებულის ხალხისა“, იგი არის „გულის დარდის გადამფანტველი და მომლხენი საწყლისა.“

„ბედკრულის ნუგეშ-მცემელი
სნეულის გამკურნელიო,
ნიჭია სწორედ ზეცისა.
უღირსთა დამსაჯველიო“ — ასე

უმღერის იგი ღვინოსა. და პოეტი მთელი გატაცებით ეწაფება ღვინოს, სწამლავს თავის ფიქრებს და ეძლევა თავდავიწყებას.

მამია გურიელის შემოქმედებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს პატრიოტულ მოტივს. სალაღობო და სანადიმო პოეზიასთან ერთად მის კალამს ეკუთვნის რამდენიმე ლექსი, რომლის ავტორსაც ასულდგმულებს ჩვენი პოეზიისათვის ჩვეული გზნება — მამულის ტრფობა. მამიას ქართველი ხალხის შვილს თავს დასტრიალებს მამულზე ფიქრი. იგი უმღერის ჩვენს წარსულს, შეჰნატრის დიდებული თამარის დროს, უმღერის კახაბერს:

„მხარე უკვდავი გამარჯვებისა
მიწა, სადაცა ჟამსა ძველისა
დამარხულია სახელოვნება...“ —

გვეუბნება პოეტი. მამია გურიელი არ აცხადებს პრეტენზიას დიდ მგოსანზე, „არ მინდა გავხდე მე დიდ პოეტად, სალაღადებლად მთელის ხალხისა“—გაიძახის იგი, მას სურს თავისი სუსტი ძალი შეუერთოს მომავლის საქმეს, რომ შთამომავლობას პოეტის სიტყვებითვე რომ ვსთქვათ „დახ კდის ნატ კიპნი კვალი.“

ლექსში „ჩემი ალავერდი“ პოეტი აღფრთოვანებულია მამულის ძველი დიდების აღდგომის სურვილით. მას სწადია ბრძოლა, უჭირავს რა ხელში ღვინით სავსე აზარფეშა, ტრადიციულად სადღეგრძელოში გადმოშლის გულისვარამს და მიმართავს მამულს:

„ნურას კრთები, ჩვენ გვარგუნე,
რაცა იყოს გასაბედი;
დრო წარსული მოგვიბრუნე,
შემოგვძახე — ალავერდი!“

პოეტი შვილისადმი მიძღვნილ ლექსში მკაფიოდ გამოხატავს ნამდვილ მამულიშვილურ გრძნობას, სამშობლოს სიყვარულის გულმხურვალე ფიქრს:

„მაგრამ ამაებს ყველა მამა
თავის შვილს ეტყვის,
მე სულ სხვა მინდა ჰქონდეს
ხვედრი და ბედისწერა:
მსურს ზედ დააკვდე შენს მამულსა,
რომ ის არ მოკვდეს,
და შემდეგ ხალხმა ქართლოსისამ
გიწყოს სიმღერა.“ — ეუბნება იგი

თავის შვილს და ემუდარება დღენიადაგ იზრუნოს და იმწუხაროს მამულისათვის.

მ. გურიელს მამულისადმი თავდადება მიაჩნია უკეთილშობილეს საქმედ. „ვინც მამულს უძღვნის თვისსა ცხოვრებას, ის სახელს შესძენს სახელოვნებას“ — ამბობს პოეტი. ქართული მამული წინაპართა დიდებული საფლავები, მათი რაინდული საქმეები კიაფობენ პოეტის მეოცნებე ფიქრებში. მას სწამს რომ წინაპართა საფლავებზე უკვდავების გვირგვინს ვერ შეარყევს ჟამთა სიავე; და ამიტომაა, რომ ასე იმედიანად ჩამოჰკრავს ჩანგს:

„რა გამოხსნისთვის ომი ასტყდება
ერთხელ ველებში სამშობლოისა,
ის შვილის შვილებს გარდაესხმება
როგორც წვეთები მკურნალებისა;
ხან ჩაჩუმდება, კი არ მოკვდება
და გამარჯვებით დაგვირგვინდება.“

პოეტის წარმოდგენით ჩვენი სიდიადე, ქართული უძლეველი სული უჩინრად სუფევს მაღალ მთებში ყვავილთა შორის, მდინარეების ზვირთებში, ციხეთა გუნდებში, ძველ საყდრებში. იგი ამხნევებს პოეტსა და ძალას ჰმატებს ფანატიკურად შესძახოს დაცემულ მამულს:

„მოიღე მამათ საფლავებიდამ
ის სულის ალი, ის ცეცხლი წმინდა
რომელიც იმათ აცხოვლებდა.“

მამია გურიელის კალამს ეკუთვნის შესანიშნავი პატრიოტული ლექსები: „პოეტი და ჩვენება“, „ქობულეთური ყაენის სიმღერა“, „კარჩხალის მთები“, „ბაირონის გიაურიდამ“, „ჩემი ალავერდი“, „ადამიანი“ და სხვ. ეს ლექსები გამთბარნი არიან მამულისადმი უანგარო სიყვარულის ალით. მამიას სტრიქონები სამშობლოსადმი სიყვარულის გრძნობას უღვივებს ადამიანს. ისინი გრძნობიერებით შეიძლება შეედარონ აკაკის ელეგიებს — სატრფო მამულზე.

მამია გურიელის პოეზიის დამახასიათებელი თვისებაა მისი სისადავე. პოეტი ძალას არ ატანს ფიქრსა, არ ხმარობს მაღალ ფრაზებს, მისი რითმები მდიდარნი არიან, ლექსის ზომა ათ-მარცვლოვანია.

მამულის მეხოტბეს, მისი აღდგომის სურვილით გულმხურვალეს ერთი გულითადი ნატვრა ჰქონდა, — განესვენა იქ, „სად გრგვინვა ფაზის. მარადის მწუხრალის უდუდუნებდეს ხმას საამურად“, და ეს ოცნება მას აღუსრულდა.

ლეგ. ა. თ.

*) დასასრული. იხ. გაზ. „საქართველოს“ № 13(40)

# ილუსტრირებული მიმოხილვა











კარელიის ყელზე კვლავ მკაცრი ზამთარია. გერმანელ ჯარისკაცებს ძაღლების დახმარებით გადმოჰყავთ დაჭრილი მებრძოლი ამხანაგები ფრონტის წინა ხაზიდან. — ტუნისი. ამერიკელი და ინგლისელი ტყვე ჯარისკაცები. — ბრძოლის შემდეგ. გერმანიის ერთ ერთი წყალქვეშა ნავი ბრუნდება თავის ბაზაში. — გერმანელთა 4 ლულიანი საზენიტო ტყვიამფრქვევი პოზიციაზე. — საზღვაო ნაღმებით დატვირთული მატარებელი.

# ჭადრაკი

## სვლა ცხენისაა

| | | | |
|---|---|---|---|
| შ | ძყ | ზა | უნ |
| ი | და | რ | ი |
| ა | ყოს | სე | გრე |
| ვით | მა | ჩი | თყნ |
| | და | ქვით | |
| კირ | სწო | გა | ხვა |
| გან | ჭირ | კვი | სა |
| ლო | სა | დი | სა |
| ა | შ | მი | ლე |

ამ 34 კვადრატში განლაგებული მარცვლები და ასოები დაფარეთ ჭადრაკის ცხენის სვლით ისე, რომ მიიღოთ ორი აფორიზმი „ვეფხის ტყაოსნიდან“.

## შეადგინეთ სიტყვები. №5

ქვემოდ მოთავსებული მარცვლებისა და ასოებისაგან:

ა - ` - ალ - არ - ბა - ბა - ბი - ბი - ბი - ბო - ბურ - ბახ - გა - გე - გი - კა - კო - ლა - ლი - ლი - მარ - მა - მი - ნი - ნო - ნე - ნუ - რო - როს - რო - ო - სა - სი - სე - სემ - ფა - ფი - თის - თვის - ი - წყვი - წი - პონ - პე - ტოს - ზღვა - ქორ - დე - უ - უქ - პე - ყა - ჩა - ლე - ქრო.

შეადგინეთ სიტყვები შემდეგი კითხვების მიხედვით:

1. გაზაფხულის ხილი, 2. კურორტი საქართველოში, 3. ქართველი მწერალი, 4. შავი ზღვის ძველი სახელწოდება, 5. მოცარტის ცნობილი ოპერა, 6. საქართველოში წელიწადის ყველა დრო კარგია, მაგრამ, რომელია ყველაზე უკეთესი, 7. ინგლისელი რომანტიკოსი, 8. „ოქროს ხანის“ უმაღლესი სამეცნიერო დაწესებულება, 9. პატარა სახელმწიფო ევროპაში, 10. მთები ევროპაში, 11. შილერის ტრაგედია, 12. რისთვის იბრძვის ყოველი ცოცხალი არსება, 13. გერმანიის ყველაზე დიდი კინო-გაერთიანება, 14. გეომეტრიული სხეული, 15. ძვირფასი ლითონი.

### გაზ. „საქართველოს“ №11-ში მოთავსებული ამოცანების ახსნა.

#### ცხენის სვლა

„ერთხელ თურმე მზეს და მთვარეს
მოუვიდათ ჩხუბი დიდი,
გაშორდენ და შემაერთი
ჩაინგრიეს გზა და ხიდი.“

#### შეადგინეთ სიტყვები №4

1. ხვანჭკარა, 2. ბორჯომი, 3. ბარათაშვილი, 4. არგონავტები, 5. შილერი, 6. ბათომი, 7. საზამთრო, 8. დონკი ხოტი, 9. პეტრიწი, 10. ნორვეგია, 11. კასპიის ზღვა, 12. თეთნულდი, 13. ალექსანდრე ყაზბეგი, 14. ამაზონკა, 15. მაკბეტი.

# მოკლე ცნობები

▲ რუზველტმა ჯონ კალდეველლი დანიშნა ამერიკის შეერთებული შტატების ელჩად აბისინიაში.

▲ გაზეთ „ტალუ სინ პაოს“ ცნობით გენერალ-ლეიტენანტი ტეკურო მატსუი დანიშნულია იაპონიის საექსპედიციო არმიის გენერალურ შტაბის უფროსად ჩინეთში.

▲ ტრანსირანული რკინის გზა, რომელიც სპარსეთის უბეს აერთებს თეირანთან გადავიდა ამერიკელთა მმართველობის განკარგულებაში.

▲ ტუნისის ბეიმ თავის აუდიენციაში მიიღო ღერძის სახელმწიფოთა წარმომადგენელნი.

▲ უნგრეთის კულტის მინისტრი მერსს ჩინიე, იმყოფებოდა ბერლინში. მის პატივსაცემად მოეწყო შეხვედრა.

▲ ბოლშევიკების მიერ ირანიდან ძალდატანებით ევაკუირებულია 300 ათასამდე კაცი.

▲ იტალიის ახალ ელჩად თურქეთში დანიშნულია გვარილია, რომელიც ამ დღეებში ჩავიდა სტამბოლში.

▲ ავსტრალიის მე-9 დივიზიამ, რომელმაც მონაწილეობა მიიღო ელ ალამკინთან ბრძოლაში, დაბრუნდა ავსტრალიაში მისი სანაპიროების დაცვის მიზნით.

რკინის გზის ხაზზე ალეპპო-ხამა სირიაში მოხდა თავდასხმა ინგლისის სამხედრო მატარებელზე. მოკლული და დაჭრილია 200 ოფიცერი და ჯარისკაცი.

▲ გერმანიის საელჩოში ტოკიოში 25 მარტს იდღესასწაულეს გერმანია-აღმოსავლეთ აზიის საზოგადოების არსებობის 70 წლის აღსანიშნავი იუბილე. მთელი რიგი დოკუმენტები და გამოცემანი ადასტურებენ გერმანელ გამომკვლევთა დიდ მუშაობას იაპონოლოგიის დარგში.

▲ იაპონიის გზათა მიმოსვლის სამინისტროს ცნობით, აპრილიდან გაიხსნება საჰაერო მიმოსვლა იაპონიასა და სამხრეთის ოლქებს: ფილიპინის კუნძულებს, მალაიის ნახევარ კუნძულსა და ტაის შორის.

▲ ამერიკის მთავრობის გადაწყვეტილებით ყველა, ებრაელს რომელთაც დაჰკარგეს საფრანგეთის ქვეშევრდომობა სამი წლის განმავლობაში შეუძლიათ გახდნენ ამერიკის მოქალაქეებად.

## ტოკიო და წყალქვეშა ომი

იაპონური გაზეთი „მაინიში“ უძღვნის მეთაურ წერილს გერმანია-იტალიის წყალქვეშა ომს. გაზეთის აზრით, ინგლის-ამერიკის ნაოსნობა შეიძლება საბედისწერო გახდეს, ვინაიდან ინგლისმა და ამერიკამ დღემდე ვერ გამონახეს საშუალება წყალქვეშა ნავების წინააღმდეგ საბრძოლველად. გერმანიის წყალქვეშა კამპანია ეს არის რაც იწყება. ის იმედები, რასაც ინგლის-ამერიკელები ამყარებდნენ კონვეირების სისტემაზე უშედეგო გამოდგა. თუ გინდ ინგლის-ამერიკელებმა ატლანტიის ოკეანეზე მოუყარონ თავი მთელ თავიანთ ძალებს, მაინც შეუძლებელია წარმატებით ებრძოლონ საწყალქვეშო საფრთხეს.

თუ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ ჩრდილოეთ აფრიკაში იმყოფება 400-500 ათასი ჯარისკაცი, რომლებიც საჭიროებენ სურსათით მომარაგებას, მაშინ გასაგებია ის რომ ჯარისკაცების მომარაგება მეტად გაძნელდება საწყალქვეშო ომის გამო, რადგან იგი ყოველ დღიურად ძლიერდება.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ლეგ. ასეულის მეთაური გ. მადაურიძე.
წერილები უნდა გამოიგზავნოს
შემდეგი მისამართით:
Georgische Zeitung, Berlin W 35, Am Karlsbad 28

ქართული სტამბა, ბერლინი.
Deutscher Verlag, Berlin.